შეტყობინება ტენდერის გამოცხადების შესახებ

(სტანდარტული ფორმა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში)

საერთაშორისო მოწვევა ტენდერში (სამშენებლო სამუშაოები)

საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი II

საქართველო

საქართველომ (შემდგომში „მსესხებელი“) ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (შემდგომში ,,ბანკი“) მიიღო სესხი საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი II-ის განსახორციელებლად. საერთაშორისო მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უკავშირდება რუსთავი-ალგეთის (ლოტი I) და ალგეთი-წითელი ხიდის (ლოტი II) მშენებლობის ხელშეკრულებების გაფორმებას.

ხელშეკრულებები მოიცავს ახალ მშენებლობას რუსთავიდან ალგეთამდე (ლოტი I)დაახლოებით 21კილომეტრი სიგრძის მონაკვეთს და ალგეთიდან წითელ ხიდამდე, აზერბაიჯანის საზღვრამდე, დაახლოებით 10.9 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთს (ლოტი II). მოეწყობა ოთხზოლიანი მაგისტრალი, რომლის პროექტირება განხორციელდა TEM სტანდარტების მიხედვით. გზის , რომლის საშუალო სიგანეა 22-25 მეტრი და მოიცავს გვერდულებს. სანიაღვრე სისტემა გათვალისწინებულია გზის მონაკვეთის შუა ნაწილში. მაგისტრალის სიგანეა 4 x 3.75 მეტრი და გვერდულის სიგანეა 2.5 მეტრი. გარე განათების სისტემა, პროექტის მიხედვით, მოეწყობა მედიანური სისტემით. პროექტით დასაშვები მოძრაობის სიჩქარეა 120 კმ/სთ. პროექტის მთელ მონაკვეთზე დაგეგმილია 4მ „ნიუ ჯერსის ბარიერების“ მოწყობა. ასფალტობეტონის საფარი გამოიყენება ხიდებზე, ესტაკადებზე და მისასვლელ გზებზე. I და II ლოტი მოიცავს 13 ხიდს და მისასვლელებს. ლოტი I-ის ბოლოში არის ალგეთის კვანძი, რომლის განშტოება გრძელდება სადახლომდე (სომხეთის საზღვრამდე).

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 2027 წლიდან 2029 წლამდე.

ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

1) **ფინანსური მოთხოვნები**

ა) ისტორიული ფინანსური საქმიანობა

მოთხოვნა - აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, ან თუ არ მოითხოვება პრეტენდენტის ქვეყნის კანონმდებლობით, სხვა ფინანსური უწყისები, რომლებიც უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ (ინგლისურად, აპოსტილის ბეჭდით დამოწმებული), ბოლო 3 წლის (2022, 2023, 2024) პერიოდისთვის, რომლითაც დასტურდება პრეტენდენტის მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. სულ მცირე, პრეტენდენტის წმინდა ღირებულება (აქტივების ღირებულება), ბოლო საანგარიშო

წლისთვის, რომელიც განისაზღვრება მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

ბ) საშუალო წლიური ბრუნვა

მოთხოვნა - მინიმალური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:

- ლოტი I: 85,000,000 ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 34,000,000 ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 119,000,000 ევროს ექვივალენტი,

საშუალო სამშენებლო წლიური ბრუნვა განისაზღვრება ბოლო 3 წლის (2022, 2023 და 2024) განმავლობაში მიმდინარე ან დასრულებული ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი საერთო თანხის, 3-ზე (სამზე) გაყოფით.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, ამასთან, **თითოეული პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის *არანაკლებ 20%-ის* და **ერთი პარტნიორი უნდა** აკმაყოფილებდეს *მოთხოვნის არანაკლებ 40%-ის.*

გ) ფინანსური რესურსები:

მოთხოვნა - პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ FIN-3-ში მოცემული თავისი ფინანსური რესურსი, FIN-4-ში განსაზღვრული მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მთლიან მოთხოვნას წინამდებარე კონტრაქტებისთვის:

- ლოტი I: 14,100,000 ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 5,700,000 ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 19,8000,000 ევროს ექვივალენტი.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი სრულად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, **თითოეულ პარტნიორს** უნდა უდასტურდებოდეს, რომ FIN-3-ში მოცემული მისი ფინანსური რესურსი, FIN-4-ში მითითებული მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მის წილობრივ მოთხოვნებს:

- ლოტი I: 2,820,000 ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 1,140,000 ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 3,960,000 ევროს ექვივალენტი

წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი მოთხოვნიდან; და **ერთ პარტნიორს** უნდა უდასტურდებოდეს, რომ FIN - 3-ში მითითებული მისი ფინანსური რესურსი, FIN - 4-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მის წილობრივ მოთხოვნებს:

- ლოტი I: 5,640,000 ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 2,280,000 ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 7,920,000 ევროს ექვივალენტი

მთლიანი მოთხოვნიდან წინამდებარე კონტრაქტებისთვის.

2) **სამშენებლო გამოცდილება**:

ა) ანალოგიური მოცულობის კონტრაქტები - მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს უშუალოდ პრეტენდენტის მიერ

მოთხოვნა - პრეტენდენტს, როგორც ძირითად კონტრაქტორს, ერთობლივ საწარმოს წევრს ან ქვეკონტრაქტორს უნდა გააჩნდეს შემდეგი სამშენებლო გამოცდილება კონტრაქტებში, რომლებიც წარმატებით დასრულდა[1] 2016 წლის 1 იანვრიდან წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე:

<u>ლოტი I:</u>

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 70,000,000 ევროს ექვივალენტი, ან

(ii) 2 კონტრაქტი ჯამური ღირებულებით 70,000,000 ევროს ექვივალენტი, საიდანაც ერთი უნდა იყოს მინიმუმ 42,000,000 ევრო.

<u>ლოტი II:</u>

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 23,000,000 ევროს ექვივალენტი, ან

---

[1] წარმატებით დასრულებული კონტრაქი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად:

1. ხელმოწერილი კონტრაქტი და
2. მიღება-ჩაბარების სერთიფიკატი ან დასრულების სერთიფიკატი ან შესრულების სერთიფიკატი

რომელიც ასახავს საკმარისი რაოდენობით დეტალებს როგორიცაა კონტრაქტის სახელწოდება, ღირებულება და დასრულების თარიღი. თუ დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე, მათ თან უნდა ახლდეთ შესაბამისად დამოწმებული ინგლისური თარგმანი.

იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებშიც პრეტენდენტი მონაწილეობდა ერთობლივი საწარმოს პარტნიორის ან ქვეკონტრაქტორის სტატუსით, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გათვალისწინებული იქნება მხოლოდ პრეტენდენტის მიერ შესრულებული წილი.

(ii) 2 კონტრაქტი ჯამური ღირებულებით 23,000,000 ევროს ექვივალენტი, საიდანაც ერთი უნდა იყოს მინიმუმ 13,800,000 ევრო

<u>ჯამურად ლოტი I და ლოტი II:</u>

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 93,000,000 ევროს ექვივალენტი, ან

(ii) 2 კონტრაქტი ჯამური ღირებულებით 93,000,000 ევროს ექვივალენტი, საიდანაც ერთი უნდა იყოს მინიმუმ 55,800,000 ევრო.

პრეტენდენტის მიერ ანალოგიური სამუშაოების გამოცდილებად ჩაითვლება **ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა/მოდერნიზაციის პროექტების განხორციელების გამოცდილება.**

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

ბ) მსგავსი ხასიათის/ტიპის კონტრაქტები – მოთხოვნა უნდა იყოს დაკმაყოფილებული უშუალოდ პრეტენდენტის მიერ[2]

მოთხოვნა - პრეტენდენტს, როგორც ძირითად კონტრაქტორს, ერთობლივი საწარმოს წევრს ან ქვეკონტრაქტორს ბოლო 10 წლის განმავლობაში (2016 წლის 1 იანვრიდან წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე) წარმატებით უნდა ქონდეს განხორციელებული ქვემოთ მითითებული ტექნიკური მოთხოვნების[3] შესაბამისი სამუშაოები:

ტექნიკური მოთხოვნა 1 - ლოტი I

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 10,000 მ² (საავტომობილო გზისა და/ან სარკინიგზო) ხიდის სავალი ნაწილის მშენებლობა.

ტექნიკური მოთხოვნა 2 - ლოტი I

---

[2] (i) მოთხოვნა 1.4.1 (ბ) შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სხვდასხვა კონტრაქტებით და არ არის აუცილებელი ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნას ერთი კონტრაქტით.
(ii) თითეული ტეკნიკური მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ერთი კონტრაქტით.
(iii) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება (მაგალითად, შუალედური გადახდის სერტიფიკატი, ინჟინრის მიერ გაცემული დამტკიცება და სხვ.), იმის დასადასტურებლად, რომ შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნა შესრულებულია დამაკმაყოფილებლად. ამასთან, სავალდებულო არ არის, რომ ის კონკრეტული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული ტექნიკური მოთხოვნა განხორციელდა, უკვე არსებითად და/ან დამაკმაყოფილებლად დასრულებული იყოს.

[3] იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებშიც პრეტენდენტი მონაწილეობდა ერთობლივი საწარმოს პარტნიორის ან ქვეკონტრაქტორის სტატუსით, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გათვალისწინებული იქნება მხოლოდ პრეტენდენტის მიერ შესრულებული წილი.

ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელებული კონტრაქტრის შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი წარმოდგენილია იმავე ერთობლივი საწარმოს შემადგენლობით, რომელიც ახორციელებდა აღნიშნულ ხელშეკრულებას, მასზე გავრცელდება ერთი წევრის მოთხოვნები.

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 270,000 მ² ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ბეტონის საფარის მშენებლობა.

ტექნიკური მოთხოვნა 3 - ლოტი I

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 4,000,000 მ³ მიწის სამუშაოები.

ტექნიკური მოთხოვნა 1 - ლოტი II

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 3,500 მ² (საავტომობილო გზისა და/ან სარკინიგზო) ხიდის სავალი ნაწილის მშენებლობა.

ტექნიკური მოთხოვნა 2 - ლოტი II

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 120,000 მ² ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ბეტონის საფარის მშენებლობა.

ტექნიკური მოთხოვნა 3 - ლოტი II

ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 1,200,000 მ³ მიწის სამუშაოები.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

დაინტერესებული კომპანიები ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით:

https://www.eib.org/en/publications/20240132-guide-to-procurement-for-projects-financed-by-the-eib

დაინტერესებულ უფლებამოსილ კომპანიებს დეტალური ინფორმაციის და სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ დეპარტამენტისთვის მომართვით:

ქალბატონ სალომე წურწუმიას - თავმჯდომარის მოადგილეს
მისამართი: ალ ყაზბეგის 12, 0160 თბილისი, საქართველო
ელ–ფოსტა: info@georoad.ge
ana.gogs@gmail.com

დაინტერესებულ კომპანიებს აქვთ სატენდერო დოკუმენტაციის მიღების შემდეგი შესაძლებლობები:

1. ელექტრონულ ფოსტაზე უნდა გამოაგზანონ მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე, დაინტერესებული კომპანიის სახელის და საკონტაქტო ინფორმაციის (ელექტრონული ფოსტის და მისამართის) მითითებით. მოთხოვნის მიღების და შემოწმების შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, Dropbox-ის ბმულით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას მეილის წარუმატებლად მიწოდების თაობაზე;;
2. წერილობითი მოთხოვნა წარმოადგინოს ხელზე უფლებამოსილმა პირმა ზემოთ მითითებულ მისამართზე.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა და ვალუტა უნდა იყოს:

- I ლოტისთვის: 6,700,000 ლარი (ექვსი მილიონ შვიდასი ათასი ლარი) ან მისი ექვივალენტი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში,
- II ლოტისთვის: 2,150,000 ლარი (ორი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი ლარი) ან მისი ექვივალენტი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა კონვერტირებული ვალუტაში, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე 28 დღით ადრე.

ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პირობების შესრულება.

პრეტენდენტებმა ერთდროულად უნდა წარმოადგინონ ორი ცალკეული კონვერტი: ერთი ტექნიკური წინადადების შემცველი, ხოლო მეორე – ფასის წინადადების შემცველი. ორივე კონვერტი მოთავსებული უნდა იყოს ერთ საერთო გარე კონვერტში.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტებით, წარწერით: „სატენდერო წინადადება რუსთავი-ალგეთის (ლოტი I) და ალგეთი-წითელი ხიდის (ლოტი II) მშენებლობისთვის“, არაუგვიანეს 2026 წლის 23 ივლისისა 15:00 საათამდე ადგილობრივი დროით, შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზირი 12. 0160, თბილისი, საქართველო ოთახი 413, მეოთხე სართული.

ტექნიკური წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით. ფასის წინადადებები გაუხსნელი დარჩება და შეინახება დამკვეთის მიერ მათ გახსნამდე.

ტექნიკური წინადადებების შეფასების დასრულების შემდეგ, დამკვეთი ფასის წინადადებების გახსნაზე მოიწვევს იმ პრეტენდენტებს, რომელთა ტექნიკური წინადადებები შეფასებული იქნება არსებითად შესაბამისად.

დამკვეთი აღნიშნულ პრეტენდენტებს წერილობით აცნობებს საფასო წინადადებების გახსნის თარიღს, დროსა და ადგილს.

<u>შენიშვნა:</u> **აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არა-ოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.**